სახალხო გაზეთი

№ 499 პარასკევი, 13 იანვარი, 1912 წ. № 499

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети. п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ორშაბათს, 16 იანვარს, გარდახდილ იქნება წლის წირვა, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა ნუკრიანის წმ. გიორგის ეკლესიაში უდროვოდ გარდაცვალებულ

კატო სტრელბიცკის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უნუგეშო დედა **ბარბარე სვიმონის ასული სტრელბიცკისა, ბიძები და დეიდები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1.174.1)

ახალი კლუბი

შაბათს, 14 იანვარს 1912 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო გამართულ იქნება

წმ. მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის ნინოს სახსოვრად

დაწვრილებით ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1003—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—245)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—75).

20 იანვრიდან ამ 1912 წლისა

იხსნება

სარატოვის მეკარხნეთა სარჩინკების

სავაჭრო სახლის ე. ე. მაიერის

საქარხნო მაღაზია.

(3—1014—2) ერევნის მოედ. „კავკაზის“ სასტუმროს ქვეშ.

ქართული თეატრი

კვირას, 15 იანვარს 1912 წ. მარიამ საფაროვ-აბაშიძის იუბილეს გამგე კომიტეტი გამართავს

სალიტერატურო დილას

მონაწილეობას მიიღებენ: **მ. საფაროვ-აბაშიძისა,** მხცოვანი პოეტი **აკაკი, თ-დი გრ. დიასამიძე,** დრამატ. საზოგადოების დასი და **„ახალი კლუბის“** სიმებიანი ორკესტრი.

ბილეთები გაიყიდება მხოლოდ პარტერის პირველის 4 წყებისა. დასაწყისი ნაშუადღევს 12 ნახ. ს. (2—176—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

შაბათს, 14 იანვარს,

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ჰმართავს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ი. გედევანიშვილისა:

გამცემი,

დრამა 3 მოქ. და **2** სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბეჟანოვისა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი, ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი: ა. მეტრეველი, სვანელი, ალ. შანშიევი, ინაშვილი, ჭამკვეტაძე, ყაზბეგი და სხ.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12—2 ს., და საღამოს 6—8 საათამდე.

დასაწყ. საღ. 8 ს. შემდეგი წარმოდგენა 21 იანვარს.

(2. 0 6.1) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტ. **ჭიაბერაშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—13) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 2 1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“ -

(წლ. 1090 250)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 83)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.42).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 56).

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657— 5)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—76).

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.17)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—31).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

თბილისი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

იანვრიდან ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ განახლებულის რედაქციით გამოდის. მშრალ ქრონიკულ ცნობებს გარდა იქ შეხვდებით პროგრამიულ ხასიათის წერილებსაც კი. სხვათა შორის, „კავკაზი“ განსაკუთრებულის ყურადღებით ექცევა ჩვენს გაზეთს და თითქმის ყოველდღე მოჰყავს ციტატები ჩვენის წერილებიდან. უკანასკნელ ნომერშიაც „კავკაზი“ კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს ეხება და ჩვენს საპასუხოდ სწერს:

> ტყუილად უცქერის გაზეთი პესიმისტურად საქმეს, ტყუილად ეძლევა სასოწარკვეთილებას... ასი წელიწადია ტფილისში გროვდება ადმინისტრატიულ მმართველობის ძაფები, ასი წელიწადია ტფილისი კავკასიის ცხოვრების ცენტრად გადაიქცა, და ნუ თუ ეხლა შეიცვლება გარემოება?

ნუგეშიც კარგია, მაგრამ ნუ თუ ოფიციალურ „კავკაზს“ დაავიწყდა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის გახსნა კავკავში და არა ტფილისში სახალხო განათლების მინისტრმა მოითხოვა? ან იქნება მინისტრის აზრი და სურვილი საკმაოდ არ მიაჩნია „კავკაზს“, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ფრიად ბუნებრივი შიში აღეძრათ და იფიქრონ, რომ ამ ჟამადაც კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთა ჭეშმარიტ საჭიროებებს გვერდს აუქცევენ? თუ „კავკაზს“ ასეთი ღრმა რწმენა აქვს, ბედნიერი ყოფილა. ჩვენ კი გამოცდილებით ვიცით, რა სიძუნწეს იჩენენ ხოლმე, როდესაც საქმე კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთა სიკეთეს შეეხება.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია, სხვათა შორის, ვაჭრობის მინისტრის კანონ-პროექტი ტომსკში საშუალო საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დაარსებისა და ფულის გადადებისა სამრეწველო უწყების უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების მოსამზადებლად.

განაგრძობენ უბედურ შემთხვევისაგან დაშავებულ მუშათა დაზღვევის კანონ-პროექტის განხილვას.

სტეფანოვი კადეტების სახელით მოითხოვს კანონის მოქმედების ფარგლის გაფართოებას.

ტიზენჰუზენი მოუწოდებს სათათბიროს, უარჰყოს სოციალ-დემოკრატთა, შრომის ჯგუფელთა და კადეტების შესწორება.

პრედკალნი სოციალ-დემოკრატთა შესწორებას იცავს.

შესწორებანი უარჰყვეს. მუხლს მუშათა კომისიის დასკვნით იღებენ.

მე-12 მუხლის მაგიერ, რომელიც დამზღვევ ამხანაგობას დახმარების გაწევისაგან ანთავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დამტკიცებული არ იქმნა, რომ უბედურ შემთხვევის მიზეზად თვით დაშავებულის ბოროტი განზრახვა იყო, ოქტომბრისტებს ახალი რედაქცია შემოაქვთ, რომელიც სასამართლოს პროცესს საჭიროდ არა სთვლის.

ტიმოშკინი იცავს მუხლს.

მრეწველობის განყოფილების გამგე ოქტომბრისტების შესწორებას ეხრობა.

ტიზენჰაუზენი აცხადებს, კომისია მხარს დაუჭერს ოქტომბრისტების შესწორებასაო. ეს მუხლი ოქტომბრისტების შესწორებით მიიღეს.

მე-31 მუხლი ოქტომბრისტების შესწორებითვე მიიღეს, რომლის ძალითაც, მუშა-ხელის დღიური ხელფასი ადგილობრივ პირობების მიხედვით სამის წლის ვადით დაწესდება.

დანარჩენი მუშების უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის დებულებისა მეორე წაკითხვის რედაქციით მიიღეს.

სათათბირომ კანონ პროექტის, მიღების შემდეგ, სამი ფორმულა შეიმუშავა, ორი კომისიისა და ერთიც ვოლკოვ მე-2: კომისიის ფორმულებში სურვილია გამოთქმული, რომ მთავრობამ ახლო მომავალში წარუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულებათ კანონ-პროექტები განსაკუთრებითი დამზღვევ სასამართლოს დაარსებისა, რკინის გზისა და კერძო საზღვაო და სახომალდო დაწესებულებათა მოსამსახურეთა დაზღვევისა. ვოლკოვის ფორმულაში სურვილია გამოთქმული საქარხნო ინსპექციის შემოღებისა, ტობოლის, ენისეისა და ირკუტსკის გუბერნიებში. და მუშათა დამზღვევ კანონის ხსენებულ გუბერნიებისა და საერთოდ ციმბირში გავრცელებისა.

მიიღეს მოხალისე ფლოტის დებულებათა კანონ-პროექტი. სამსახურში ბოროტ-მოქმედებათა ჩადენის გამოძიების წესრიგის კანონ-პროექტიდან კადეტების წინადადებით გამორიცხეს 1081 მუხლი.

მესამე წაკითხვის შემდეგ მიიღეს სამსახურის პირთა განკარგულებით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების კანონ-პროექტი.

მიიღეს სასამართლოს რეფორმათა კომისიის ფორმულა, რომელიც იუსტიციის მინისტრს ავალებს გულდასმით განიხილოს მთავრობის წარმომადგენელთა მიერ მიყენებულ ზარალის ხაზინის მიერ ანაზღაურების საკითხი, სამსახურის პირთა პასუხის მგებლობის არსებული წესი და იგი ისეთ დებულებით, შესცვალოს, რომლითაც მთავრობის უკანონო მოქმედებათაგან გამოწვეული ზარალი ხაზინამ უნდა აუნაზღაუროს.

სათათბირო განაგრძობს კამათს ხოლმის გუბერნიის გამოყოფის თაობაზე.

სკოროპადსკი აცხადებს, რომ იგი მხარს დაუჭერს კანონ-პროექტს, რომელიც მას პირველ ნაბიჯად მიაჩნია რუსთა ინტერესებისათვის ბრძოლისა და რუსის ხალხოსნობის დაცვისა. რაკი ხოლმის საკითხი აღიძრა, კიდეც უნდა დასრულდეს. (ტაშის ცემა ცენტრში).

იაბლონოვსკი. ხოლმის გამოყოფის საკითხი ჯერ კიდევ 1865 წელს აღიძრა, მაგრამ მთავრობის წრეებმა იგი უარჰყო. განახლებულ წესწყობილების დროს კი იგი კვლავ ამოტივტივდა. მიზეზი ამ საკითხის გამოწვევისა სულ სხვაა, ვიდრე მას პროექტის დამცველები აღიარებენ. 1905 წელს, როდესაც სინდისის თავისუფლება გამოცხადდა, ხოლმის ეპარქიაში მრავალი მართლმადიდებელი ჩამოშორდა ეკლესიას. ეს საკითხიც ეხლა ეკლესიის მსახურებმა წამოაყენეს. პოლონელები ამ კანონ-პროექტს ისე უყურებენ, როგორც პოლონელთა შევიწროების საშუალებას. მაგრამ ასეთის დევნით ვერ შეაფერხებენ პოლონელთა ეროვნულ თვითცნობიერებას. ლამპარი პოლონეთის თავისებურებისა ჯერ კიდევ ბრწყინავს. პოლონელები არ დაივიწყებენ მათგან ჩამოშორებულ ძმებს, ხოლო დამჩაგვრელთ კი, უეჭველია, სირცხვილის ლაქა ელისო.

თავმჯდომარე აცხადებს შემოსულ სასწრაფო შეკითხვათა სიას, რომელთა განხილვა სალამოს მოხდება. სხდომა შესწყვიტეს.

სალამოს სხდომაზე კაპუსტინი თავჯდომარეობს. გამოაქვეყნეს სასწრაფო შეკითხვა დაღესტნის ოლქის სოფელ ხუნზის მცხოვრებლებზე ადგილობრივ მეციხოვნეთა მიერ 25 დეკემბერს შეიარაღებულ დაცემის თაობაზე. შეკითხვას ხელს აწერენ გაიდაროვი და კადეტებისა, ტრუდოვიკებისა და სოციალ-დემოკრატების 30 წევრი.

გაიდაროვი. შეკითხვა მსწრაფლად უნდა განვიხილოთ, რადგანაც შეუძლებელია ადგილობრივ მთავრობის მოქმედება კანონიერადა ვცნოთ.

ანტონოვი. უეჭველია, ამ შემთხვევის განხილვა საჭიროა, მაგრამ მისი მსწრაფლ გარჩევა კი უადგილოდ მიმაჩნია, ვინაიდან 25 დეკემბერს მომხდარი შემთხვევა აღარ გამეორებულა. ამისთვის კომისიას გადავცეთ იგი და ერთი თვის ვადა მივცეთ მის განსახილველად.

გაიდაროვი უკან იღებს შეკითხვის სისწრაფით განხილვას და მოითხოვს ვადას.

ტიმოშკინი. ვადის დანიშვნის წინააღმდეგ ვარ, რადგან იგი სპარსეთიდან მოსულ დეპეშებს ემსგავსება, რომელიც რუსეთის ჯარს სისასტიკესა და სიმხეცესა სწამებს. შეკითხვის ვადა მიიღეს და შეკითხვა კომისიას გადასცეს. გამოაქვეყნეს კადეტების შეკითხვა, რომელიც უკანონოდ სთვლის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას გოლოლობოვის კუზნეცოვზე საჩივრის სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტში გადაცემის გამო. პირველად ხელი უწერია **ტესლენკოს**, რომელიც მთელი საათის განმავლობაში იცავს შეკითხვის სისწრაფით განხილვას. სიტყვის დასასრულში ტესლენკო მემარჯვენებს მიჰმართავს: ნუ მიეცემით შურის-ძიების გრძნობას, ნუ აჰყვებით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების სურვილს; მიზანს ვერ მიაღწევთ. თუ მოწინააღმდეგეს სატანჯველში ჩააგდებთ, მასვე აამაღლებთ, ხოლო თვით კი დამცირდებით. ცენტრის მიმართ კი შემდეგს ამბობს: ფრთხილად მოექეცით სახალხო წარმომადგენლობის იდეას და გახსოვდეთ, რომ იგია სახელმწიფოთა და ხალხთა მხსნელი; ნუ სთელავთ ამ იდეას; როდესაც თქვენ მას დაამცირებთ, შემდეგ ველარ შესძლებთ მის ამაღლებას. (ტაშის ცემა მარცხნივ).

ანტონოვი მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ვერავითარ უკანონობას ვერა ჰხედავს, მას მოჰყავს ფონ რეზონის წიგნი, რომელშიაც დეპუტატების უფლებანი სულ სხვანაირად არის განსაზღვრული, ვიდრე ეს ტესლენკომ გვამცნო. საჭიროა ამ საკითხის კომისიაში გადაცემა. (ცენტრსა და მარჯვნივ ხმები: ბრავო).

პოკროვსკი მეორე. საქმე მთავრობის სურვილს ეხება, რომლითაც მას დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ჰსურს. შეუძლებელია მთავრობის ეს ცდა ოქტომბრისტებსაც არ შეეხოს. მოლაპარაკე იგონებს გუჩკოვის სიტყვას, რომელიც საზღვაო უწყებას კრიტიკას უკეთებდა. იგონებს იმ ბრალდებას, რომელნიც კულიაბკომა კუროლოვმა ოქტომბრისტების წინააღმდეგ წამოაყენეს. ყველა ამ ვაჟბატონებს შეეძლებათ ოქტომბრისტებიც მისცეს პასუხისგებაში იგი შეკითხვის სწრაფ განხილვას მოითხოვს. (ტაშის ცემა მარცხნივ). შეკითხვის სწრაფ-განხილვა უარჰყვეს.

განსახილველია 1910 წლის დეკემბერში ნოვოროსიის უნივერსიტეტში მომხდარ ამბების გამო შეკითხვა. შეკითხვა მიიღეს.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 11 იანვარს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი.

◆ **ნინოობა.** 13 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულისა გამო, სიონის საკათედრო ტაძარში საღამოს ლოცვას საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი შეასრულებს ალავერდის ეპისკოპოს დავითისა და ბაქოს ეპისკოპოსის მონაწილეობით. ლოცვის შემდეგ წმ. ნინოს ჯვარისა და ხატის წინ ყოვლად სამღვდელონი ქართულადა და სლავიანურად აკაფისტს წაიკითხავენ. 14 იანვარს, ნინოობა დღეს, ექსარხოსი მწირველი იქმნება წმ. ნინოს სასწავლებელში, ხოლო ეპისკოპოსი დავითი—სიონის ტაძარში.

◆ **ნ. ე. ზუბალაშვილის სტიპენდია** ამ ჟამად თავისუფალია. სტიპენდია კენჭის ყრით მიეცემა გორის მაზრის ღარიბ თავად-აზნაურთა სკოლებს. თხოვნები კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სახელზე უნდა იყოს შეტანილი. თხოვნების მიცემა 14 თებერვლამდე შეიძლება. 14 თებერვალს კენჭის ყრა მოხდება.

◆ **საფსიხიატრო საავადმყოფო.** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა სტეფანოვმა და სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგემ ექიმმა გედევანოვმა მოხსენება შეადგინეს ქალაქის საფსიხიატრო საავადმყოფოს შენობის აგების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, საავადმყოფოში 100 საწოლი უნდა იყოს. შენობის აგებასა და მოწყობას ერთდროულ ხარჯად 150,000 მან. დასჭირდება, ხოლო ყოველწლიურად—42,500 მან. საავადმყოფოს შემოსავალი ვარაუდით წელიწადში 42,000 მანეთამდე ექმნება, ასე, რომ ქალაქს საავადმყოფოს შესანახათ ფულის დამატება აღარ დასჭირდება. ამ ჟამად ქალაქი წელიწადში 21,800 მან. ხარჯავს სულით-ავადმყოფთა თავშესაფარის შენახვაზე.

◆ **ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიას** საჭიროდ დაუნახავს, ქუჩებზე დარგულ ხეხილებს ძოვლა-პატრონობა სახლის პატრონთ დააკისროს.

◆ **ბერძნულ წარმოდგენების მმართველი ჯგუფი** 17 იანვარს სახალხო სახლში წარმოადგენს პიესას: „ეკატერინი კე ქსანთოპულოს“-სა. ბილეთები იყიდება კუნდურისის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე, სახაზინო თეატრის პირდაპირ. წარმოდგენის დღეს ბილეთები სახალხო სახლის კასაში გაიყიდება.

◆ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დიდ-ვანქის ქუჩაზე, სახ. საიფოვისა № 29, სცხოვრობს **ყოვლად უმწეო ოჯახი ალიხანოვისა.** ქმარი ლოგინად არის ჩავარდნილი, ცოლს მოხუცებულობის გამო არავითარი შრომა არ შეუძლიან, ჰყავთ სარჩენი ბავშვი. სასურველია, რომ გულმოწყალე ადამიანებმა დახმარება მიაწოდონ თვითონ მათს ბინაზე, ზემოხსენებულის მისამართით.

◆ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** წესდება უკვე დაბეჭდილ იქმნა. საზოგადოების დამაარსებელთა საერთო კრების მოწვევა 22 იანვრისთვის არის განზრახული.

◆ **ახალი სკოლა.** ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ს. ბარისახოში (თიანეთის მაზრა) სამისიონერო სკოლა დაარსა, სადაც მასწავლებლად დ. პავლიაშვილი დანიშნა.

◆ **ახალი ჟურნალი.** გამოვიდა სატეხნიკო საზოგადოების ყოველთვიურ ჟურნალის „ინჟენერნოე დელო“-ს პირველი ნომერი.

◆ **შეიპყრეს** ახალციხის მაზრის მცხოვრები ყული-ისმაილ-ოღლი, რომელსაც ბორჩალოს მაზრაში ძარცვა-რბევისა და მკვლელობათა ჩადენა ბრალდება.

◆ **„ჯეჯილი“**. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“ს დეკემბრის ნომერი (12).

◆ **დედაბრის მოკვლა.** 11 იანვარს ვიღაც უცნობებმა ასატუროვის მისახვევში მდებარე სახლის პატრონი მართა ხაჩატუროვის (17 წლისა) მოჰკლეს. მოკლული ნახეს სარდაფში ყელსა და მუცელში რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია ჰფიქრობენ სი, რომ მკვლელობა შედეგია პირადი შურის ძიებისა.

◆ **საპოლიტეხნიკო კურსები.** ინჟენერთა ერთს ჯგუფს განზრახვა აქვს, მომავალ სექტემბრიდან ტფილისში საშუალო საპოლიტეხნიკო კურსები მოაწყოს. ამ საგნის თაობაზე 11 იანვარს ქალაქის გამგეობის შენობაში ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა საგანგებო კომისიას. კომისიამ შეიმუშავა დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა კურსებისა. ვარაუდით კურსების მოწყობა დაჯდება 12—15 ათას მანეთამდე, ხოლო ყოველ წლიური ხარჯი 36 ათასამდე იქნება, რაიც დაფარულ იქნება სწავლის ფულით. კურსებზე დაახლოვებით 300—400 მოსწავლე იქნება. სწავლის ფული საერთოდ 100 მან. იქნება დაწესებული. კურსებს ორი მოსამზადებელი და 3 სპეციალური განყოფილება ექნება. კურსებს შემდეგი განყოფილება ექნება: 1) საელექტრო-ტეხნიკო, 2) საინჟენერო-საარქიტექტორო, 3) საინჟენერო-სამექანიკო, 4) სამიწისმზომლო და 5) სამთო-საქარხნო. დამაარსებელთა საერთო კრება ამ ორს კვირაში იქმნება მოწვეული.

◆ **სალიტერატურო პრემია.** ორშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 8½ ს. ქართულ თეატრში გაზ. „თემის“ რედაქციის თაოსნობით და ბ-ნ აკაკის საპატიო თავმჯდომარეობით მოხდება **პრემიით საჯარო დაჯილდოვება იმ პოეტისა**, რომელსაც ჟიურიმ არგუნა მეორე ჯილდო, წარმოდგენილ ლექსისათვის „სატურნის“ დევიზით გაზეთ „თემის“ მიერ დანიშნული. დაჯილდოვების დროს წაიკითხავენ სალიტერატურო ჟიურის სხდომის ოქმს და გახსნიან იმ კონვერტს, სადაც დაცულია დაჯილდოვებულ ავტორის ვინაობა, რის შემდეგ გადასცემენ ავტორს თვით პრემიას. დაჯილდოვების წინ გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას შემდეგი მწერლები: პ. ირეთელი, კ. მაყაშვილი, ი. ელიფთერიძე, ტრ. რამიშვილი, ნ. ერისთავი და სხვ. რეფერატს წაიკითხავს ესთეტიურ კრიტიკის საფუძველზე“ ბ-ნი მიხ. წულუკიძე. შემდეგ გრამოფონის საშუალებით ლევ. ტოლსტოის „ცოცხალ სიტყვებს“ მოისმენენ და გრ. დიასამიძე წაიკითხავს თავის წერილს „გენიოსის ხსოვნას“. ანტრაქტებში დაუკრავს „ახალი კლუბის“ ორკესტრი ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით. შემოსავალი გადაიდება „თემის“ **საპრემიო** ფონდის გასაძლიერებლად.

◆ 11 იანვარს ტფილისში 20 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 11 იანვარს, დილით, პეტრე დიდის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ნიკოლოზ ისაევის სახლს № 30. დაიწვა ერთი კედელი და ჭერი.

◆ ტფილისში შეიპყრეს ნახიჩევანის მცხოვრები მაშადი იბრაჰი აჯი იზრა ყული ოღლი, რომელიც პოლიციის ცნობით ტფილისში ჩამოსულა ბოროტ-მოქმედებათა ჩასადენად. შეპყრობილს ზედ სხვის პასპორტი აღმოაჩნდა.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ამიერ-კავკასიის ბეითალთა საზოგადოებამ** თავის უკანასკნელ კრებაზე საზოგადოების წევრის ი. გ. ხუციშვილის მოხსენება მოისმინა საზოგადოებასთან ლაბორატორიის დაარსების შესახებ არყის გამოსაკვლევად. კრებამ ეს აზრი მოიწონა. საზოგადოების მომავალი კრება 28 იანვარს მოხდება. კრებაზე ვ. ი. ლანგი წაიკითხავს მოხსენებას ტფილისში საბეითალო-საფერშლო სკოლის დაარსების თაობაზე.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა ორი წერილი „ჩემი პასუხი“—ვ. ჯაჯანაშვილისა, და „იძულებითი განმარტება“ [illegible] კასრაძისა. ორივე წერილში ფრიად სამწუხარო შეცდომაა შეპარული. ნათქვამია, ვითომც 6 იანვარს მომხდარ ინციდენტის გამო რედაქციას პასუხი **დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან** მოსვლოდეს. **ნამდვილად კი ეს ორივე წერილი პასუხია ქართულ დრამატიულ დასის მიერ გამოგზავნილ განმარტებისა.**

დეპეშა

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეკინიდან იუწყებიან, რომ ქვრივ დედოფალს უარი უთქვამს დინასტიის გადადგომაზე, დეკრეტზე ხელი არ მოუწერია, დაუტუსაღებია იუანშიკაი, რომელიც დღემდის ჩინეთის მთელ საქმეებს განაგებდა, და მართვა-გამგეობა ჩაუბარებია სამეფო გვარეულობის მომხრე სინჩანუსთვის.

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ, ვითომც სპარსეთის ცნობილ მოღვაწეს ეფრემს წინადადება მიეცეს ტრიპოლში მომქმედ ოსმალეთის ჯარების უფროსის ენვერ-ბეისთვის, ნება მომეცით ფიდაების რაზმები შევადგინო და დაგეხმაროთო.

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

შრომის ჯგუფმა ინგლისელთა სტუმრების დახვედრა, როგორც ხალხთა დაახლოვების საშუალება, პრინციპიალურად შესაძლებლად დაინახა, თუმცა ეხლანდელი სტუმრობა, იმის აზრით, მხოლოდ მთავრობებსა და კაპიტალისტებს აკავშირებს. შრომის ჯგუფს შეუძლებლად მიაჩნია დღესასწაულების გამართვა იმ დროს, როდესაც რუსეთი შიმშილობას განიცდის.

მარიამ მიხეილის ასულის საფაროვ-აბაშიძის პატივისცემა თელავში.

8 იანვარს ქართულ სცენის მოღვაწის ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის ნიჭის პატივისმცემელთა კრება მოხდა, რომელსაც საკმაო საზოგადოება დაესწრო. იყვნენ უფრო ხანში შესულნი, ალბად ამათ პირადად უნახავთ და ახსოვთ ჩვენი სცენის მოჭირნახულის ღვაწლი. ახალგაზდობა ნაკლებ სჩანდა, რაიც უფრო იმით აიხსნება, რომ ამათ არ ეცოდინებოდათ დღევანდელი კრება.

დამსწრენი გაეცნენ მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო დღესას-

რა არის მშვენიერება?

(ესთეტიურ-ფსიხოლოგიური ნარკვევი).

(გაგრძელება*)

ესთეტიური ემოცია ყოველივე პრაქტიკულ ინტერესს მოკლებულია, იგი უტენდენციოა, მისი ერთად-ერთი მიზანი მხოლოდ სიამოვნების გამოწვევაა. მაშინ, როდესაც ადამიანის სხვა ლტოლვილებას მიზნად რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქვს, მშვენიერებით ტკბობას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოსდევს, იგი მხოლოდ პასიური აქტია და ჭვრეტით განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, ლამაზ საგანში, რომელიც უმიზნო ესთეტიურ გრძნობას იწვევს, ყოველივე გაზომილი და შეთანასწორებულია, ყველაფერი თავთავის ალაგას არის და საერთო სურათიც მთლიან რასმე წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ლამაზ საგნის დამახასიათებელ თვისებას უმიზნო მიზან-შეწონილება შეადგენს (§ 17).

4.

რას შეიცავს სილამაზე როგორც **ფსიხო-ფიზიოლოგიური** განცდა?

მშვენიერების დარგში, უმეტეს ნაწილად, თვალსა და ყურს აქვს მნიშვნელობა. ჩვენ, მაგ., ბევრი საჭმელი მოგვწონს, მაგრამ ისინი მაინც გემრიელია და არა მშვენიერი. ყნოსვისა, გემოვნებისა და შეხების დარგი თავის გრძნებათა მრავალ-ფერიანობით ღარიბია. სულ სხვაა სმენა და მხედველობა. როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, თვალის უკანა ნაწილის შუა კუნჭულში მარტო ერთ ოთხკუთხ მილიმეტრის მანძილზე 150 ათასი ნერვის ძაფია გაბმული. თვალისა და ყურის ასპარეზი სხვა ორგანოების ასპარეზზე ბევრად უფრო ფართოა, მათი მოქმედება გაცილებით უფრო ღრმაა და მდიდარი. გარდა ამისა, თვალი და ყური, დიდ დაქანცულობის შემდეგაც კი, მალე ისვენებს, და ამ გარემოებას კი მშვენიერების სფეროში ერთობ თვალსაჩინო ალაგი უჭირავს.

ხსენებულ გარემოებიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ სილამაზით დატკბობა შეუძლიან არა ერთსა და ორს, არამედ ბევრს. კიდევ მეტი, რაც უფრო მეტია მაცქერალთა რიცხვი, რომლებიც ესთეტიურ გრძნობას განიცდიან, მით თითოეული მათგანი უფრო მძლავრად ტკბება. მშვენიერების გრძნობა თავისთავად ცუდ აზრებსა და განზრახვებს არ აღიტინებს, იგი მხოლოდ კეთილშობილურ, დიად ემოციებს იწვევს და საერთოდ სასიცოცხლო ძალა-შემძლებლობა თავის მაქსიმუმამდე აჰყავს.

ლიუდოვიკ მეორე, ბავარიის მეფე, თავის საყვარელ პიესებს ვეებერთელა თეატრში ადგმევინებდა, ხოლო წარმოდგენაზე დასწრება, თვით მეფის გარდა, არავის შეეძლო, თურმე. ეს ფაქტი გამონაკლისია და, როგორც ასეთი, ჩვენს ნათქვამს ვერ არღვევს.

„მეგრული ანდაზა ამბობსო,—სწერს საფრანგეთის ერთი აკადემიკოსი,—რომ „გზებს სიარული ახდენს და ლამაზ ქალებს კი მამაკაცების შემოხედვა“-ო. მართლა აქვთ თუ არა მეგრელებს ეს ანდაზა,—ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ მასში გამოხატული აზრი რომ მშვენიერების ცნებას სავსებით ეწინააღმდეგება, ეს კი ცხადზე უცხადესია.

ფსიხო-ფიზიოლოგიური თვალ-საზრისით, საგანი მით უფრო ლამაზია, რამდენადაც იგი ჩვენი ნერვების მეტ რიცხვს აღიზიანებს, მაგრამ იმ გვარად, რომ ეს გაღიზიანება ნერვებს მხოლოდ ავარჯიშებს და არავითარ შემთხვევაში არ ჰქანცავს. წრეს გადასული დაღლილობა, დაქანცულობა ენერგიის უთავ-ბოლო, უეკონომიო დახარჯვის შედეგია, და ესთეტიური გრძნობა, როგორც სასიამოვნო გრძნობათა ერთი გვარი, ხსენებულ ხასიათის პროცესისაგან შორს არის. ეს თვისება, მაშასადამე, არა მარტო ესთეტიურ ემოციის, არამედ ყოველ-გვარ სასიამოვნო გრძნობის დამახასიათებელია. წინააღმდეგ ამისა, ის მოთხოვნილება, რომ მოძრაობაში ნერვების რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქმნას მოყვანილი, სპეციალურად ესთეტიურ გრძნობას ეხება. ასე და ამ გვარად, ჩვენი ორგანოებისათვის სასიამოვნოა, როცა ბევრ შთაბეჭდილებებს იღებენ, ხოლო იმავე დროს მცირე ძალას ხარჯავენ. ჩვენი ორგანიზმი აქ ჭკვიანსა და დამზოგველ დიასახლისს ემსგავსება, რომელიც შორს არის როგორც ძუნწობისაგან, ისე უთავბოლო ფლანგვისაგან, მოწადინებულია, რაც შეიძლება მეტი ნაირნაირი საქონელი იყიდოს, მაგრამ ამასთანავე თითოეულ „გროშსა“ და კაპეიკსაც აფასებს.

წითელისა და მწვანე ფერის რიგრიგად ჩაყოლება, ყვითელისა და იის-ფერის ერთი-მეორეში არევა ლამაზ შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან წითელისა და ყვითელის ცქერით თვალი იღლება, ხოლო იმავე დროს მწვანეზე და იის ფერზე იგი ისვენებს...

პირდაპირი ან ტალღისებური ხაზები თვალისათვის სასიამოვნოა და ლამაზი, რადგანაც ისინი მის ორგანიზაციას სავსებით ეწყობა და ეთანხმება; პირიქით, დატეხილი ხაზი, უსწორ-მასწორო რგოლი, სხვა და სხვა სხეულების მკვეთრი ფორმები ჩვენს მხედველობას ჯაფას აყენებს, თვალმა რამოდენიმეჯერ უნდა გამოსცვალოს თავისი მოძრაობა, მიმართულება და ამ სახით დიდ-ძალი ენერგია უნდა დახარჯოს.

ზომიერი განათება ლამაზია, ამ დროს თვალი სიამოვნობს, გარდამეტებული განათება ან მკრთალი სინათლე თვალს ჰქანცავს და მას უსიამოვნებას აყენებს.

ბუნების შორეული მშვენიერებით შემკული სურათი ახლობელ პეიზაჟზე უფრო ლამაზია, ვინაიდან, უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენს თვალს ინდივიდუალური უსწორ-მასწორობა არ ეპარება, იგი ერთი წერტილიდან მეორეზე ხტის, კარგსა და ავსაც ითვისებს, თითონაც იღლება, და შთაბეჭდილების მთლიანობაც იკარგება.

ლამაზ საგნის აუცილებელ ელემენტს ჰარმონია შეადგენს. ჰარმონია ფორმების იმ გვარ კომბინაციას ეწოდება, როცა საზოგადო სურათი თვალისთვის ადვილად საჭვრეტია, რადგანაც ამ სურათის შემადგენელი ნაწილები კიდევაც განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან და კიდევაც ჰგვანან. ჰარმონია, მოკლედ რომ ვთქვათ, არის მრავალ-ფერიანობაში განხორციელებული მთლიანობა და ერთიანობა.

ხშირად ლამაზ საგანში დისჰარმონიული ელემენტებიც შედის, და ამ შემთხვევაში ჩვენი ორგანოები კონტრასტის კანონით ხელ-მძღვანელობს. შეიძლება ანალოგიური ფაქტი მედიცინიდან მოვიყვანოთ. ყველას, ვინც კი ფარმაკოლოგიას რამოდენიმეთ იცნობს, ემახსოვნება, რომ ეგრედ წოდებული მწარე ნივთიერებანი: ბოლოკი, მდოგვი, ქინაქინა, **lignum Quassiae, radix Colombo** და სხვ., კუჭის წვენის გადმოდენას ხელს უწყობს და ამით ადამიანს მადას ჰგვრის. პროფესორ პავლოვის შეხედულობით, სიმწარე კონტრასტს აძლიერებს იმ სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნებათა შორის, რომლებსაც, ერთი მხრით, ჩვეულებრივი, გემრიელი და, მეორე მხრით, ზემოთდასახელებული უგემური. მწარე საჭმელები იწვევს. მწარე ნივთიერებიდან ჩვენი ორგანო უსიამოვნო შთაბეჭდილებას იღებს და ამის შემდეგ ნამდვილ საჭმელების გემოსა და სიტკბოებას უფრო აფასებს. პროფესორ პავლოვზე უფრო ადრე ეს გარემოება კარგად ჰქონდა შეგნებული მე-18 საუკუნის ჩვენს ნიჭიერ მგოსანს. „ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ იძებ გემოვნებასა“-ო,—გვირჩევს დავით გურამიშვილი.

მუსიკაში ჰარმონიის შთაბეჭდილებას რითმი, მელოდია და ცალკე ბგერათა კონსონანსები ახდენს.

ყოველივე ხანგრძლივი ერთფერიანობა უსიამოვნო გრძნობის გამომწვევია. მონოტონური ხმა ნერვებზე ცუდად მოქმედობს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენი სმენის მექანიზმი სულ ერთგვარად მუშაობს და სასმენელი ნერვები მალე იღლება. პირიქით, სხვა და სხვა ტონები, სიმღერა და სხვ. ზომიერად აღიზიანებს ყურის არა ერთსა და ორს არამედ რამოდენიმე აპარატს და ამით წინააღმდეგ ეფექტს გვაძლევს.

ორგანიზმის მოძრაობაში მინიმალურ დაქანცვით შედეგის მაქსიმუმის მიღწევას გრაცია ეწოდება. მაშინ, როდესაც გრაციოზული მიხვრა-მოხვრა თვალისთვის ადვილი საჭვრეტია, უხეში და ულამაზო მოძრაობა, რომლის დროს ენერგიის უსისტემო და დაუზოგველი ფლანგვა სწარმოებს, მაყურებლის თვალსაც ჰქანცავს და მას ჯაფას აყენებს.

—

იმ სილამაზეს, რომელზედაც მე ახლა მკითხველს ვებაასებოდი, **ფორმალურ** მშვენიერებას ეძახიან. მას საგნის გარეგნული ფორმა უფრო აქვს მხედველობაში. ამ თვალ-საზრისით, „ვიმეორებ, ლამაზი ეწოდება ყოველივეს, რაც შეგრძნების სიადვილესთან და შთაბეჭდილებათა სიმდიდრესთან არის შეკავშირებული. მაგრამ არის კიდევ მეორე გვარი მშვენიერება, მშვენიერება **ასოციაციური, იდეური**, მშვენიერება, სადაც სიმძიმის დედაგული ფორმიდან შინაარსზეა გადატანილი. აქ მნიშვნელობა საგნის გარეგნულ სახეს და მის მიერ გამოწვეულ შეგრძნების ხასიათს კი არა აქვს, არამედ წარმოდგენებისა და ასოციაციათა სიმდიდრეს.

ვთქვათ, ქუჩაში სეირნობის დროს, თქვენ შემთხვევით თვალი მოჰკარით პატარა და კოხტა ყვავილს და უცაბედად თქვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენათა მთელი რიგი აღიძრა. გაგახსენდათ ძველის-ძველი ამბავი, ზაფხული, მზიანი დღე, თქვენ საყვარელ არსებასთან სეირნობა, მის მიერ მოწყვეტილი მშვენიერი ყვავილი, თვალ-წინ წარმოგიდგათ მისი სახის მომხიბლავი გამომეტყველება, როცა ის გულზე ყვავილს გიბნევდათ, მისი ეშხითა და ალერსით სავსე შემოხედვა, მისი ღვთაებრივი კისკასი, შემდეგ, როცა თქვენ მის მოძღვნილ ყვავილს განგებ არ მოეპყარით ჯეროვანის ყურადღებით, მისი ბავშური გაბუტვა და სხვ... ქუჩა რომ არ იყოს, შეიძლება ამ ფიქრს და მოგონებას შორს წაეყვანეთ, ბევრი კარგი და ბევრი ცუდი გეგრძნოთ და გაგხსენებოდათ, მაგრამ ამ დროს გზაზე ნაცნობი გხვდებათ და თქვენი აზრთა დენა ირღვევა.

ჩვენს მაგალითში მოყვანილ ასოციაცებს პირადი ხასიათი აქვს, მაგრამ შეიძლება, რასაკვირველია, მათ საზოგადოებრივი, ნაციონალური და საკაცობრიო ხასიათიცა ჰქონდეს.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი. ვთქვათ, მაღლა გორაკებზე ძველ ციხის ნანგრევებს ვხედავთ. თავისთავად ისინი არავითარ მშვენიერებას არ შეიცავენ, ნახევრად ჩამონგრეულ კედლებს და უხეიროდ მიყრილ-მოყრილ ქვების გროვას არ შეუძლიან რაიმე სერიოზული გრძნობა გამოიწვიოს, მაგრამ ციხის დანახვაზე თქვენ მოგაგონდათ ხალხში დარჩენილი ლეგენდა, რომ იგი აშენებულა თამარ მეფის დროს, თქვენ აქ იხსენებთ ქართველთა ერის ოქროს ხანას, ქართველთა მხედრო-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 498

წაულის კომისიის წერილს, კარგა ხანი ისჯა-ბაასეს, თუ როგორ ეცათ პაცივი და ბოლოს გადასწყვიტეს 22 ანვარს თელავშიაც გამართონ მისი პატივსაცემად საიუბილეო წარმოდგენა აპოთეოზით. ამის განსახორციელებლად დამსწრეთ აირჩიეს 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: ქ-ნი მ. კანდელაკისა და ბ-ნნი: ვ. კახიძე, გ. ტერ-არუთინოვი, ივ. კაკაბაძე, გ. ტერ-სარქისოვი, თავ. ალ. ციციშვილი და ვ. პაატაშვილი.

ეს კომისია უკვე შეუდგა სამზადისს. უპირველეს ყოვლისა მან მიჰმართა ტფილისში—იუბილეის მომწყობ კომისიას გამოითხოვოს 22 იანვარს საიუბილეო წარმოდგენის გამართვის ნებართვა. ამ საღამოს დიასახლისობა მიენდო კომისიის წევრს ქ-ნ მარიამ კანდელაკისას.

დავიწყებული.

ქართული საღამო ფოთში.

ფოთის განყოფილება წ. კ. გ. საზოგადოების 14 ამ იანვარს მართავს სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის სადგომში **ქართულს საღამოს,** რომელზედაც მოწვეულნი არიან ტფილისიდან ი. სარაჯიშვილი და ი. გრიშაშვილი და ქუთაისიდან მ. გასნევსკისა და ცნობილნი მოლექურენი. საღამოს გამართვაში მიიღებენ მონაწილეობას მომღერალთა გუნდნი ა. მეგრელიძისა და ძმ. ჩავლეიშვილებისა, ხორო გურულის მემუსიკეებისა და საზანდარისაგან შესდგება. ადგილობრივნი ლიტერატურის მოყვარენი წაიკითხავენ: „წ.-კითხვის საზოგადოების“ დაფუძნების ამბავს, ოპ-ჩანინის „წმიდა ნინოს“ და სხვა და სხვა სცენებს და ლექსებს. საღამოზე გაიმართება: ლეკური, უზუნდარა და ევროპიული ცეკვა.

შობის ხე

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სკოლაში.

ამ საბავშო დღესასწაულებში, როცა ყველა შეძლებულ დედ-მამის ბავშვები მხიარულობენ შობის ხის გარშემო ქ. შ. წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სკოლის მოწაფეთაც, რომელნიც თითქმის სულ ღარიბ ოჯახებიდან არიან, შეძლება მიეცათ შობის ხის ნახვის და მხიარულობისა.

განვლილ დღესასწაულებში ამათაც გაემართათ შობის ხე; ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაბრწყინვალებულ სახით შეჰხაროდნენ მორთულ და გაჩაღებულ ხეს. ამავე დროს გრამაფონი სხვა და სხვა სიმღერებს ასრულებდა. კარგა ხანი იმხიარულეს ბავშვებმა და ბოლოს კმაყოფილნი დაბრუნდნენ შინ. წასვლისას დაურიგდათ ბულკები შესატანებელით, პარკებით ხილი, სასწავლო ნივთები და სახალათი-საშალღრეები.

შობის ხის გასამართავად შემოსწირეს: 5 მან. ალავერდის ეპისკოპოზმა ყ-დ ს. დავითმა, 8 მან. წმ. ნინოს სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციამ, **თითო მანეთი:** კნ. თ. ვახვახიშვილისამ, ნ მამინაშვილმა, კნ. თ. აბაშიძისამ, ვ. და ან. კახიძეებმა, ვ. პაატაშვილმა, კნ. ს. ვახვახიშვილმა, კნ. ქ. რუსიევისამ, ზ. მარკოზაშვილმა, გ. იორდანაშვილმა, გ. კუპატაძემ, გ. დილევსკიმ, თ. ალ. ციციშვილმა, გ. კურდღელაშვილმა, თ. ყაზახაშვილმა, კნ. ე. ჩოლოყაშვილისამ, ი. ბარკალაიმ და ლ. გლურჯიძემ; **ათ-ათი შაური:**—ნ. გოგოლაძისამ, მ. მაჭავარიანმა, ნ. მარკოზაშვილმა, ი. გორდეზიანმა, ბ. ლუკაშვილმა, **ექვს-ექვსი შაური**—ი. გოგოლაშვილმა, №№-მა, ს. აბესაძემ, დ. გაგუნაშვილმა და **თითო აბაზი**—კ. გოგოლაძისამ და ნ. ბურჭულაძემ. **სულ 45 მან. 10 კაპ.**

კნ. ან. ნ. ჭავჭავაძისამ შემოსწირა სანთლები, ხის მოსართავი ვარაყი და შუშხუნები, კნ. ბ. ვახვახიშვილისამ და ქ-მა ბარძიმოვისამ ვაშლები, ხოლო მ. ელიზბარიშვილმა გრამაფონი გვათხოვა და თვითვე ჰმართავდა.

წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის და სკოლის მოწაფეთა სახელით უღრმეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემო დასახელებულ პირთ, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს შობის ხის მოსაწყობად.

წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის წევრი—ხაზინადარი **ვ. პაატაშვილი.**

ახალციხის ავ-კარგი.

შარშან ბევრსა სწერდნენ გაზეთებში, რომ მასწავლ. ს. ჯუღელთან წარმოდგენიდან შემოსული ფული 50 მან. დარჩა და არავითარ საზოგადო საქმეს არ ახმარებსო. არა მგონია, მას მისი შეჭმის განზრახვა ჰქონდეს და არც საფიქრებელია, მაგრამ კი ვურჩევ, რომ ის ფული დედათა სკოლის კომიტეტს გადასცეს იმ მიზნით, რომ მოხმარდეს ადგილობრივ სამუდამო სცენის მოსაწყობად, რომლის დაარსება (მარიამ აბაშიძის სახელობაზე) გადასწყვიტა საზოგადო კრებამ 26 დეკემბერს. ამ თანხას მიემატება ის ფული, რაც საიუბილეო წარმოდგენიდან შემოვა, რომელსაც ყველიერებში გამართავენ მარ. აბაშიძის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ამავე მიზნით გვაქვს ათი მანეთი ფონდათ, რომელიც მასვე მოხმარდება და ამნაირად დიდი ხნის საჭიროება და სურვილი განგვიხორციელდება, რასაც შეადგენს ჩვენში სამუდამო ქართული სცენა.

განზრახულია ადგილობრივმა ქართველმა ინტელიგენციამ სახალხო ლექციები მოაწყოს ხოლმე რაბათის ღარიბ ქართველთა შორის, რაც დიდად სასიამოვნო და სასარგებლოც იქნება.

მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ცალიერ სიტყვად დარჩეს, ისე როგორც სხვაც ბევრი რამ თქმულა და ერთიც არ ასრულებულა, მაგალითად, როგორც წ.-კ. საზოგადოების ადგილ. განყოფილება. ერთი წელიწადია, რაც 25-მა წევრმა შემოიტანა სამ-სამი მანეთი. ამ განყოფილების დასაარსებლად და ამოდენა ხნის განმავლობაში არ იქნა 5 წევრი ვეღარ მიუმატეს, რაც ჩვენივე ინტელიგენციის ბრალია, რომ არ თანაუგრძნობს ამ სიმპატიურ დაწესებულებას და არ ეწერებიან წევრად. მე კი სულით და გულით ვუსურვებ ამ ორივე საქმეში პირნათლად გამოსულიყოს ჩვენი ქართველი საზოგადოება და დაეარსებინოთ როგორც სახალხო უნივერსიტეტი აგრედვე წ.-კ. საზ. ადგილ. განყოფილება.

მეხსი კ. გვარამაძე.

მოწერილი ამბები

სოფ. ლორეშა (შორაპნის მაზრა). მეორე წელიწადია რაც აქ არსებობს სამკითხველო, რომელსაც რამოდენიმე ჟურნალ-გაზეთი მოსდის. ამ მცირე ხანში საჩუქრად ერთი თუმნის წიგნები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისაგან მოუვიდა. მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ამ სოფელში არსებობდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა.

ეხლა ეს სკოლა ორ კომპლექტიან სკოლად გადააკეთეს. ექვსიოდე კვირაა, რაც ამ სკოლაში სწავლა დაიწყეს. მოწაფეებისგან შემდგარი გუნდი ეკლესიაში გალობს ხოლმე. სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია, და ეს შენობაც ყველას ვერ იტევს. ეხლა სკოლა სამის ოთახისაგან შესდგება. ერთი ამდენიც რომ მოედგას, მაშინ ყველა ბავშვების მიღება შეიძლებოდა. სასურველია ეს საქმე ითაოს ვინმემ და უადგილობისა გამო სკოლის გარედ დარჩენილ ბავშვებს სწავლის გზა გაუხსნას.

მოკეთე.

არეულობა სპარსეთში

მაჰმედ ალის სპარსეთის ტახტზე ასვლა.

სპარსეთში ხოის გუბერნატორს საჯაროდ განუცხადებია, ექს-შაჰის ტახტზე ასვლა. ამ შემთხვევის გამო ქალაქი გაჩირაღდნებული ყოფილა.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

გვაიაკილი. რევოლუციონერების მეთაურნი ტყვედ წაიყვანეს. წესიერება აღადგინეს.

ტოკიო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უციდან რუსეთთან მეგობრობის განმტკიცება აღნიშნა. ორივე მთავრობა მტკიცედ იცავს შეთანხმებით მოქმედებას. იაპონია ნეიტრალიტეტს დაიცავს ჩინეთის საქმეებშიო.

პეკინი. საფიქრებელია, რომ სამეფო გვარეულობა მანჯურელ თავადთა ზეგავლენით ბრძოლას განაგრძობსო. ხმებია, ბრძოლის განგრძობას ტელიანი მოითხოვს, რომელსაც იუანშიკაის მოადგილედ სთვლიანო.

გირინი. ქალაქში პროკლამაციები გააკრეს, რომლებიც მცხოვრებლებს ასაჯანყებლად მოუწოდებენ.

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა პროვინციის მმართველთ ცირკულიარი დაუგზავნა, სასტიკად დაიცვით უცხოელთა სიცოცხლე და ქონება ხუნხუზთა დარბევისაგანაო.

ტოკიო. ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სუნიათზენის შვილი მოვიდა.

გაზეთებიდან

რევოლუციონერთა მოთხოვნილება.

7 იანვარს პრეზიდენტს სუნიათზენსა და რესპუბლიკის სამინისტროს წევრთ თათბირი ჰქონდათ. თათბირის შემდეგ პეკინის მთავრობას დეპეშით ულტიმატუმი გაუგზავნეს და გადაჭრით მოსთხოვეს, მეფემ ტახტზე ხელი აიღოსო და იმპერატორის გვარეულობა გადასახლდესო. ულტიმატუმი მანჯურთ უკრძალავს რესპუბლიკის მართვა-გამგეობაში ყოველგვარ მონაწილეობას. არც იუანშიკაის მინისტრობა სწადიანთ. პეკინის დედა-ქალაქობას უარჰყოფენ რევოლუციონერები. ულტიმატუმი პასუხია რევოლუციონერებისა, იუანშიკაის უკანასკნელ წინადადების გამო შემუშავებული. იუანშიკაის წინადადება მიუცია, თურმე, სუნიათზენმა ხელი აიღოს პრეზიდენტობაზე და საეროვნო კრების გადაწყვეტილებამდე პრეზიდენტად მე ვიქნებიო.

ჩინეთის დანაწილების შესაძლებლობა.

ჩინეთის რევოლუციონერებს ამერიკის დიპლომატია უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებიათ. ყოველ დღე მოსდის თურმე მოთხოვნილება, ჩინეთის რესპუბლიკა აღიარეთო და ეს კი შეუძლებელია, რადგანაც ამერიკელებს საქმე გართულებულად მიაჩნიათ. ამერიკელებს არა სჯერათ სამშვიდობო მოლაპარაკების ნაყოფიერება. იმისაც კი ეფიქრებათ, ვაი თუ ჩინეთი ორად გაიყოსო: ჩრდილოეთ ჩინეთში მონარქია დარჩეს, სამხრეთს კი—რესპუბლიკა დაარსდესო.

დაპატიმრება.

პეკინში, თურმე, ყოველდღე აუარებელ ხალხს აპატიმრებენ იუანშიკაის მოკვლის განზრახვის გამო. აღმოაჩინეს ყუმბარის საწყობი და იპოვნეს წერილები; წერილები ჩირქს თურმე სცხებს რევოლუციის მეთაურებსა. ხმა დადის დროებითმა მთავრობამ ძალიან კარგად იცის, რომ იუანშიკაის მოკვლას უპირებდნენო. ახალგაზდა ბატონიშვილები მოითხოვენ აჯანყებულთა სასტიკად დასჯას. თუმცა ქვრივმა დედოფალმა მეფის გადადგომის უსტარს უკვე ხელი მოაწერა, იუანშიკაი მაინც აყოვნებს ამ ამბის გამომჟღავნებას. ამბობენ, საკითხს ხელმეორედ განიხილავენო.

ჩინელთა ქალები.

ჩინელმა სოციალისტმა ქალმა ლინცუმსომ, რომელიც თავმჯდომარეა სუფრაჟისტკების ახლად დაარსებულ კავშირისა, პრეზიდენტს სუნიათზენს მიჰმართა, დაგვეხმარეთ და ჩინეთშიაც მოვაპოვოთ უფლებანი ქალებს, კაცებთან გავათანასწოროთო. სუნიათზენმა იქვენულად უპასუხა: ვაი თუ ჩინელი ქალები საპოლიტიკო მოღვაწეობისათვის მომზადებულნი ვერ იყვნენო.

ლინცუმსომ უპასუხა, ბევრს პროვინციაში სუფრაჟისტკათა კავშირმა უკვე გახსნა სკოლაო, ვკითხულობთ საჯაროდ ლექციებს. ამნაირად ქალებს თან და თან ვამზადებთო. მაშინ სუნიათზენმა უპასუხა: კარგი, ვეცდები ქალებსაც მივანიჭო თავისუფლება და გათანასწორებაო.

ჩინელთა სტუდენტები.

ბაოდინფუს სამხედრო აკადემიის 1200 სტუდენტი უჩას მივიდა და რევოლუციონერთა რაზმს შეუერთდა.

მდგომარეობის გამწვავება.

ჩინეთში ბატონიშვილ-რეგენტისა და სხვა ბატონიშვილთან ურთიერთობა ძალიან გამწვავებულა. ზოგი ბატონიშვილი და რეგენტიც მოითხოვს მეფის ტახტიდან ჩქარს გადადგომას, ზოგი კი წინააღმდეგია ამისა და ამბობს, მედგრად დავიცავთ მანჯურთა და მეფის უფლებანიო.

პეკინიდან იუწყებიან, იაპონიისა, რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენ ისევ ძველ აზრს ვადგევართ და ნეიტრალიტეტის დარღვევა არა გვსურსო.

—ხარბინს ახლო გამოჩენილა ხუნხუზთა ბრბო, რომელსაც, თურმე, ქართველი მაჭუტაძე ჰმეთაურობს.

იუანშიკაის მოკვლის განზრახვა.

ამას წინად იუანშიკაის ყუმბარა ესროლეს. ყუმბარამ იუანშიკაის ეტლი დაუზიანა, თვითონ კი უვნებლად გადარჩა. ამ საქმის გამო 17 კაცი დაუპატიმრებიათ.

ყუმბარის მსროლელი ქვეიჯოუს პროვინციელია, 21 წლისა.

შანჰაიში ხმა დავარდა, ყუმბარის სროლა პროვოკაციაა და იგი თვით იუანშიკაიმ მოაწყოო. ჰსურდა სახელი გაეთქვა და რესპუბლიკელების ნდობა მოეპოვებინაო.

მართლაც, იუანშიკაის პრეზიდენტად ამორჩევას უპირებენ, თურმე. შესდგა რესპუბლიკელ აფიცერთა ჯგუფი და პრეზიდენტის კანდიდატად იუანშიკაი წამოაყენა.

ყუმბარის მსროლელთ ქვრივ დედოფლის მანიფესტი უპოვნეს, სადაც იგი მოითხოვს მონარქიის დაცვას. ამიტომ გავრცელდა ხმა, იუანშიკაის მოკვლა მონარქისტებსა ჰსურდათო. თუ ეს ამბავი მართალი აღმოჩნდა, იუანშიკაი სამსახურიდან გადადგება.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

პირიმო იტალიელებმა დაატყვევეს ავსტრიის გემი „ბრემენეცი“.

მომი. საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა რეგრანმა სანდეულიანოს სთხოვა, 29 ოსმალოს განთავისუფლება, რომელნიც კალიარში დაატყვევეს. მინისტრმა პასუხის მიცემა ერთი დღით გადასდო, მინისტრ-პრეზიდენტს მოველაპარაკებიო.

გაზეთებიდან.

ზუარის იერიში.

იტალიელთა ესკადრამ ზუარს ზარბაზანი დაუშინა. იტალიელები მაინც ვერა ჰბედავენ ნაპირზე ჯარის გადასხმას, რადგან ზუარში ეხლა 10 ათასი ოსმალოა, წინად კი მხოლოდ 700 კაცი იყო. ამნაირად, მოხერხებული დრო იტალიელებმა ხელიდან გაუშვეს.

იტალიელები ზუარს ხუთი საათის განმავლობაში უშენდნენ ზარბაზანსა ყუმბარით ბევრი ყაზარმა და სიმაგრე დაანგრიეს. ოსმალნი ძალიან დაზარალებულან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

11 იანვარი.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ იუწყება, ერენტალის ჯანმრთელობა ზემერინგიდან დაბრუნების შემდეგ

ბის ძლევა-მოსილებას, ქართველთა შემოქმედებითი ნიჭის აყვავებას და სხვ. შემდეგ თქვენი აზრი თითონ თამარზე ჩერდება, იწყებთ ფიქრს ჯერ, ვთქვათ, მის გარეგნობაზე, შემდეგ მის ზნეობრივ-გონებრივ სიმდიდრეზე. თამარს ადარებთ სხვა გამოჩენილ დედოფლებს, ეკატერინე მეორეს, კლეოპატრას და სხ. კლეოპატრის გახსენება თქვენში ახალ ასოციაციებს იწვევს. გაგონდებათ ეგვიპტე, კართაგენი, ძველი რომი, მისი წეს-წყობილება, მისი ქურუმები, ვესტას სამსახურე ქალ-წული ქალები... თქვენს გონებაში იშლება რომის ისტორია, ღირს-შესანიშნავი ეპიზოდები. ერთი სიტყვით, ციხის უბრალო ნანგრევებმა თქვენში აღძრა მრავალი ასოციაცია, ფრთა შეასხა თქვენს ოცნებას, დროებით დაიმორჩილა თქვენი არსება, დაიმონავა იგი და წინ ისტორიის საუცხოო პანორამა გადაგიშალეს. თქვენ ძლიერი ემოცია, ესთეტიური სიტკბოება განიცადეთ.

ასოციაციურ, იდეურ სილამაზის მხრივ მშვენიერია ყოველივე ის, რაშიაც სიცოცხლის ნაპერწკალი ღვივის. სიცოცხლის ნიშან-წყალი თავისებურ-ორგანიულ-სილამაზესა ჰქმნის. ამიტომაც არის, რომ ხშირად ჩვენ ვასულდგმულებთ მკვდარ საგნებსაც, ბრმა და შეუდრეკელ სტიქიონს სულსა ვბერავთ და ცოცხალ არსებას ვამსგავსებთ. როცა ჩვენ აღტაცებაში მოვდივართ სათარეშოდ მომზადებული, ფაფარაშლილ ზღვით, ქვესკნელის გულიდან ამოხეთქილ ქაფით სავსე ზვირთებით, გალომგულებულ ქარის ჯოჯოხეთურ ზუზუნ-ხარხარით და ელვით დაქრილ-დასერილ კუნაპეტივით შავის ღრუბლებით, აქ ადგილი აქვს არა ფორმალურ სილამაზეს, არამედ ასოციაციურ მშვენიერებას, ე. ი. ეს სურათი თვალისა და ყურისათვის არც იმდენათ სასიამოვნოა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი გონებასა და ფანტაზიას ამოძრავებს. კაცობრიობის განვითარების დაბალ საფეხურებზე ბუნების გაცოცხლებას შემეცნებითი ხასიათი აქვს, იგი პირველ-ყოფილ ადამიანის თავისებური ფილოსოფია და მეცნიერებაა, იგი ხალხის მსოფლ-მხედველობის გამომხატველია. ჩვენს დროში ბუნების გასულდგმულება, რასაკვირველია, ძველ მნიშვნელობას ჰკარგავს და მას მხოლოდ ესთეტიური ხასიათი ეძლევა. ანთროპომორფიზმი აქ მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა, დროებითი ილიუზია.

განსაკუთრებით ძლიერ ჰგრძნობს ბუნების სიმშვენიერეს მგოსანი. მაგრამ იგი ბუნებას, როგორც მარტო ასეთს, კი არ უგალობს, იგი აგრედვე შესტრფის და შეჰხარის იმ გრძნობას და წარმოდგენას, რომელიც თვალ-წარმტაცმა სურათმა მასში აღძრა და გამოიწვია. მგოსანი ობიექტივაციას უშვრება თავის სულისგანწყობილებას, თავისი ნააზრი, ნაგრძნობი, იმედები, სასოება, ლოცვა-ვედრება მას ბუნებაში გადააქვს. მხატვარი მეცნიერი და ბუნების მეტყველი არ არის, იგი ბუნებას კი არ სწავლობს, არამედ ჰხატავს, და ჰხატავს, რასაკვირველია, ისე, როგორც მას მისი გუნება უჩვენებს, ისე რანაირადაც მისი სულის ძაფებია აჟღერებული.

ვარსკვლავთა ხომლნი აბამენ ფერხულს,
სიო მთის მწვერვალს დაჰქროლავს ცივად,
ნამი ხის ყლორტებს უკოცნის ტუჩებს,
ყვავილთა ფურცლებს ესხმევა მძივად.
ფოთოლი ფოთოლს ეჩურჩულება,
ჩაჰკონებია ვერხვის ტოტი ტოტს;
წყარო ანკარა პირს ჰბანს ყვავილებს,
ეთამაშება ბუნების წალკოტს... და სხვ.
(ი. გრიშაშვილი).

როცა **კნუტ ჰამსუნი** ბუნების სხვა და სხვა სანახაობას აგვიწერს, ეს იმავე დროს რამდენიმედ თითონ ჰამსუნის დახასიათებაა. სიცოცხლის ალღოთი გაჟღენთილი, საიდუმლოებით აღსავსე, სიყვარულის ტრფიალებით მოჯადოვებული აი, ასეთია კნუტ ჰამსუნის ტყე, მთა და მინდორ-ველი, და ასეთია თვითონ იგიც. თითქმის თვითოეულ ნიჭიერ მგოსანს თავისებურად აქვს ბუნება აწერილი, იმიტომ, რომ თავისი ინდივიდუალობა აქვს და ინდივიდუალობის პრიზმაში ატარებს იგი თავის წარმოდგენებს. **ბრანდესი** ამბობს, შილლის ბუნების ყოველ-დღიური სახე მოსწონს, როცა ის ჩვეულებრივად ცელქობს, ლაღობს და არ ისვენებს, მას ბუნება სატრფოსავით უყვარს, აჩრდილივით უკან დასდევს და მის თვით იდუმალ ნაბიჯებსაც კი გაფაციცებით უჭვრეტს და თვალს არ აშორებსო..პირიქით, **ვოდსვორტი** ეთაყვანება ბუნებას, ვითარცა ევნუხი, რომელიც არა თუ ვერ გაჰბედავს, თავში აზრსაც ვერ გაივლებს, რომ თავის სატრფოს სარტყელი შეუხსნას და დაისაკუთროს იგიო.

ნაზია, ვით ბულბულის სტვენა, და სათუთი, ვით უცხო წალკოტიდან გადმონერგილი ყვავილი, **ბარათაშვილის**-მიერ დახატული გარემოცული ბუნება, და განა თვითონ იგიც ისეთივე ბულბული არ იყო, რომელიც მუდამ თავის ცხოვრების ყვავილს, თავის „მეს“, თავის მარტოობას დასტიროდა და უცხო ქვეყნისაკენ მიისწრაფოდა?!.

ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ბუნება ჩვენ თვალ-წინ წარმოგვიდგება ხან როგორც უდრეკი დევი და დიადი ბუმბერაზი, ხან კი მრისხანე და მყვირალ-მქუხარე, როგორც ებრაელთა იეღოვა, ხან კოხტა და კეკლუცი, როგორც გაზაფხულის მერცხალი.

გრიგოლ ორბელიანის ამაყი ბუნება ამირანის ცეცხლშია გამომწვარი და გმირთა გმირს მოგაგონებს. **ვაჟა-ფშაველას** უტეხი, ქალწულებრივი მშვენიერებით გაჟღენთილი ბუნება, ადამიანის ყოველ-გვარ გრძნობებს და ყოველნაირ მდგომარეობას განიცდის.

დიდი ადგილი უკავია ასოციაციურ სილამაზეს აგრედვე მაშინაც, როდესაც ჩვენი ესთეტიური მსჯელობა ადამიანებს ეხება. ამ სახით, ყოველივე ის, რაც ჩვენში სასიამოვნო განწყობილებას იწვევს,—და ასეთია ჯანისა და ღონის სისაღე, ჭკუა, განვითარება, მაღალი ზნეობა და სხვ.—ესთეტიურია, მეორე მხრივ, ყოველივე ის, რაც ჩვენს თვითგრძნობას ზიანს აყენებს, სიცოცხლის ალღობას აჩლუნგებს დაკნინებულ ცხოვრების გამომხატველია,—ხოლო ასეთია ავადმყოფობა, სიკვდილი, შეშლილობა, სულ-მდაბლობა და სხვ.—არა ესთეტიურ ელემენტებს შეიცავს.

5.

ასოციაციურ, იდეურ მშვენიერების ერთი დარგთაგანია ეგრედწოდებული **დიადის** გრძნობა, რომელსაც რამოდენიმეთ დამოუკიდებელი არსებობა აქვს. მაშინ, როდესაც სილამაზის ჭვრეტის დროს, როგორც გონების, ისე ფანტაზიის ჰარმონიული დაკმაყოფილება ხდება, დიადის გრძნობა ერთი მხრით ადამიანის ოცნებას ფრთებს აკვეცს და მას ვიწრო ფარგლებში აყენებს, ხოლო იმავე დროს ამაღლებს გონებასა და აზრს. ჩვენს ფანტაზიას ქვეყნის საიდუმლო კონკრეტულად ვერ წარმოუდგენია, მისთვის სისხლი და ხორცი ვერ შეუსხამს, მაგრამ განყენებულად კი ჩვენ მივხვედრილვართ ამ საკვირველებას, გრძნობით მივწვდენილვართ მსოფლიოს ხვაშიადს. თუ ერთის მხრივ, ჩვენს არსებას არარაობის გრძნობა იცავს, თუ ჩვენ ობლად ვგრძნობთ თავს ამ სიკვდილის სამეფოში, არ ვიცით პირველი-მიზეზი და პირველი-მიზანი არსებულისა, ვერ გაგვიგია, საიდან და რისთვის მოვედით, როდის და საით მივემგზავრებით, მეორე მხრით, ჩვენ თამამად ვხედავთ რომ ის, რაც ჩვენ გვანცვიფრებს, ცამდე აზიდული მთები, ქარტეხილი, დაუბერებელი დრო და დაუსრულებელი სივრცე—ყოველივე ეს მკვდარი სტიქიონი ან განყენებული მოვლენაა, მაშინ როდესაც თვით ჩვენ უკვდავი აზრის მატარებელი ვართ, მეფე და ბრძანებელი ბუნებისა. ასე დადებითად სწყდება ადამიანის ტრაღიზმის საკითხი. „Я червь, я рабъ, я царь, я Богъ“, სთქვა დერჟავინმა. დიადის გრძნობა **პუშკინმა** ასეთ ფერადებით შეამკო:

Есть въ бою,
И бездны мрачвой на краю,
И въ разъяренномъ океанѣ
Средь грозныхъ волнъ и бурной тьмы,
И въ аравійскомъ ураганѣ,
И въ дуновеніи чумы.
Все, все, что гибелью грозитъ,
Для сердца смертнаго таитъ
Неизъяснимы наслажденія,
Безсмертья, можеть быть, залогъ;
И счастливъ тотъ, кто средь волненья
Ихъ ощутить и вѣдать могъ.

დიდი ბუნების დიადი სურათი საუცხოვოდ აგვიწერა, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძემ „განდეგილში“.

ესთეტიურ ტკბობას ეკუთვნის აგრედვე **სასაცილოს** გრძნობა, თუმცა ლამაზსა და სასაცილოს შორის პრინციპიალური განსხვავებაა.

სიცილის აქტს ფიზიოლოგიურათ იწვევს ტვინში ზედ-მეტი ენერგიის მოგროვება, რომლის დაცლა და ორგანიზმის განთავისუფლება ხდება, ერთი მხრით, დიაფრაგმისა და პირისახის კუნთების ჩქარი, უცაბედი მოძრაობით, ხოლო, მეორე მხრით, ფილტვების კონვულსიურ შეკუმშვით და გაფართოვებით. როგორც ამის შედეგი, სხეულიდან ჩვეულებრივზე მეტი მჟავბადი გამოდის, სისხლის ამჟავების პროცესი კლებულობს, მისი მუშაობა მცირდება, და ამგვარად ტვინიც ზედ-მეტ მასალას, რომელიც მის ნორმალურ მოქმედებას აფერხებდა, გარეთ ისტუმრებს... იმ მიზანს, რომელსაც ჩვენში—ადამიანებში სიცილის აქტი ემსახურება, ძაღლები კუდის ქნევით აღწევენ.

ფსიხოლოგიურად სიცილს ის გარემოება იწვევს, რომ ჩვენი ნერვების ცენტრალური სისტემა სერიოზულ რაღაცის მოლოდინშია, ამისდა შესაფერათ ენერგიის ზედ-მეტ მასალასაც თავს უყრის, მაგრამ უცაბედად ამ სერიოზულ საქმეს სხვა და სხვა მიზეზების გამო სრულად შეუფერებელი ბოლო მოჰყვება. ჩვენი ფსიხიკაც, რომელსაც საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დონეზე მეტი ენერგია ჰქონდა მოგროვილი, რაკი ჰხედავს, რომ საქმემ სულ სხვა მიმართულება მიიღო, და შედეგი უმნიშვნელო დარჩა, ენერგიის ზედ-მეტ, უკვე უსარგებლო მასალას გარედ ისტუმრებს.

სასაცილოა: მოულოდნელად აღმოჩენილი წინააღმდეგობანი, შეუფერებლობა ფორმასა და შინაარს შორის, იდეალსა და სინამდვილის შორის, მიზანსა და საშუალებას შორის, განზრახვასა და შედეგს შორის.

როგორც დიადის, ისე სასაცილოს გრძნობაც დამყარებულია კონტრასტზე, მაგრამ მაშინ, როდესაც პირველ შემთხვევაში შეგნება ჩვეულებრივ, წვრილმან მოვლენიდან მსხვილმანზე გადადის, სასაცილოს დროს ჩვენი გონება მსხვილმან ფაქტიდან იწყებს და წვრილმან შედეგით ათავებს. დიადი ისეთ პიროვნებას, მოქმედებას, გინდ მოვლენას ეხება, რომელიც საზოგადო და ჩვეულებრივ დონეზე უფრო მაღლა სდგას, პირ-იქით, სასაცილოს ყოველთვის ისეთი რამეები იწვევს, რომელიც ჩვეულებრივ დონეზე უფრო დაბლა იმყოფება.

მიხ. ცეცხლაძე.

(დასასრული იქნება)

არ გაუმჯობესებულა. შესაძლებელია, იგი სრულიად განთავისუფლონ სამსახურიდანო. გაზეთის ცნობით ბრიუსელის კონფერენციაზე რუსეთს წინადადებას მისცემენ 1912 წელს შაქრის გატანა გააძლიეროს.

პარიზი. სენატის კომისიამ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების შესახებ ბოდენის მოხსენებას მიუმატა მუხლი, რომელიც პროტესტს აცხადებს საიდუმლო ხელ-შეკრულებათა ბოროტ-მოქმედების შესახებ. განსაკუთრებით კი გამოქვეყნებულ ხელშეკრულებათათვის საიდუმლო მუხლების მიმატებაზე.

ბელგრადი. პარლამენტის კულუარებში ხმა დადის, პარლამენტი რომ საფინანსო კანონების თაობაზე მსჯელობას გაათავებს, მომავალ კვირას დაითხოვენო და სამინისტროც გადადგებაო. დამოუკიდებელი რადიკალი მაშიჩი შეეკითხა მინისტრთა საბჭოს, იცით თუ არა სამხედრო ორგანიზაციის „ძმუსრავი ხელის" არსებობა და ისიც, რომ სამხედრო მინისტრიც მფარველობას უწევს ამ ორგანიზაციასაო?

პრაგა. ჩრდილოეთ ჩეხეთის გერმანელ გლეხთა კრებაზე პანგერმანისტმა იროძ განაცხადა, ავსტრიის სლავიანთა სასარგებლო პოლიტიკა აურჩევიაო. გერმანიას იმედი არ უნდა ჰქონდეს ავსტრიის ჯარის დახმარებისა, რადგან იქ მცხოვრებ სლავიანობას სძულს გერმანია. გერმანიას ისევ რუსეთის მეგობრობა ურჩევნიან: იგი უფრო საიმედოა ავსტრიისაზეო, დაამთავრა სიტყვა იროძ.

რუსეთი.

მოსკოვი. „უტრო როსიის" მერვე ნომერს ყადაღა დაადვეს. რედაქტორს 1001 მუხლის ძალით სამართალში აძლევენ, გაზეთში მოთავსებულ მოთხრობისათვის „ოლია რეისხერი".

ვერჟბოლოვო. ინგლისელ სტუმრების დასახვედრად მოვიდნენ სათათბიროს წევრი ზვენიგცევი, პრესის წარმომადგენლები და ჩრდილო-დასავლეთის გზების უფროსი.

11 საათსა და 50 წუთზე ინგლისელი სტუმრები საჩქარო მატარებლით გაემგზავრნენ პეტერბურგს.

პ. გენზელის წიგნაკი.

ამას წინად გატჩინის რეალურ სასწავლებლის დირექტორმა პ. გენზელმა წიგნაკი გამოსცა, რომელშიაც იგი საჭიროდა სთვლის წლიურ კურსის გაუქმებას, ვინაიდან, მას, მისი აზრით, მეტად ცუდი გავლენა აქვს მოსწავლეებზე. იგი წინადადებას იძლევა ნახევარი წლის სემესტრების შემოღებისას, რადგან მხოლოდ მაშინ შეიძლება სამოსწავლო კურსის თანასწორად გაყოფა და მოწაფეც უფრო ბეჯითად ისწავლისო. ამასთანავე, ავტორი სრულს იმედს გამოთქვამს, რომ მასწავლებელი უფრო ადვილად შესძლებს თვისი მოწაფეების ცოდნის გამორკვევა-დაფასებასო.

ავტორს მრავალი მაგალითი მოჰყავს დღევანდელ საშუალო სასწავლებლების უკუღმართ მდგომარეობისა; იგი თამამად აღიარებს იმ უმთავრეს მიზეზებს, რომელთაც მოწაფეთა თავისუფალი ზრდა-განვითარება მძლავრად შეუბორკავს და სრულის იმედით დაასკვნის, რომ ჩემ მიერ ნაჩვენებ საშუალების მეოხებით მოწაფეები შეიძენენ უფრო მეტ ცოდნასა და მეტს შრომის მოყვარეობასაც შეეჩვევიანო. საერთოდ წიგნაკში ბევრი საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული და მით უფრო საყურადღებოა ეს მოსაზრებანი, რომ საშუალო სასწავლებლის სათავეში მდგომ პირს ეკუთვნის.

უცხოეთი

საფრანგეთის ახალი სამინისტრო.

პუანკარეს მიერ შედგენილ სამინისტროს საფრანგეთის გაზეთები თანაგრძნობით შეხვდნენ. ზოგი გაზეთი აღტაცებულიცაა. ახალმა სამინისტრომ უკვე მოიპოვა შესაფერი სახელი: „დიდებული სამინისტრო" უწოდეს. ესაო,—ამბობენ გაზეთები, მესამე რესპუბლიკის ისტორიაში მეორე დიდებული სამინისტროაო (პირველი გამბეტას კაბინეტი იყო). საარჩევნო სისტემის შეცვლის მომხრენი ძალიან გაახარა პუანკარეს მინისტრად დანიშვნამ, რადგანაც იგი მომხრეა პროპორციონალურ წარმომადგენლობისა. რესპუბლიკელებიც გახარებულნი არიან ლეონ ბურჟუას შრომის მინისტრად დანიშვნით. გაზეთები აღნიშნავენ აგრეთვე იმ შრომას, რომელსაც ბრიანი გასწევს, როგორც მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი: იგი იძულებული იქნება ძალიან ხშირად გასცეს პასუხი ქვედა, ან ზემო პალატას მწვავე საკითხების დროს (ეს გარემოება თვით პუანკარემ აღნიშნა). „ტანი სწერს: დიდის იმედით მოველით პუანკარეს სამინისტროს მოქმედებას. ვიცით, რა გზითაც ივლის: ეროვნულ ღირსებისა და სახელის დაცვა, საარჩევნო რეფორმა და მშვიდობიანობა,—აი, რა მიზანი ექნება სამინისტროს. „ტანს" არ მოსწონს მხოლოდ რადიკალ-სოციალისტი სტეგი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩააბარეს. უკმაყოფილოა მხოლოდ „რადიკალი". ვაი, თუ მემარცხენეთა გავლენა სამინისტროში ვერ იყოს ძლიერიო, ამბობს იგი. ჟორესი სწერს „ჰუმანიტეში": ახალი სამინისტრო მითაა კარგი, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო დელკასეს არ აბარია. ამიტომ ჯერ ვერ დავკარგავთ გარეშე პოლიტიკის გაგონიერების იმედს. ახალმა სამინისტრომ აი რა უნდა გააკეთოს: უპირველესად ყოვლისა უნდა შეჰქმნას საერთაშორისო მშვიდობიანობის ატმოსფერო და შემდეგ გადასწყვიტოს პროპორციონალურ წარმომადგენლობის საკითხი. სამინისტროში ბევრია ამისი მომხრე, პუანკარეც დიდიხნის მომხრეა საარჩევნო რეფორმისა. ეს არ უნდა დაივიწყოსო.

ძალიან უკმაყოფილოა რევოლუციონერ სინდიკალისტების ორგანო და მემარჯვენეთა „ფიგარო". „ფიგაროს" მხოლოდ დელკასე არ მოსწონს.

რუსეთი

არქიელის და გუბერნატორის შორის უთანხმოება. არხანგელის გუბერნიის მართველს შიდლერ-შუდლერს ადგილობრივ მღვდელ-მთავრის დაუკითხავად „გუბერნსკია ვედომოსტში" გამოუცხადებია: „ახალ წლის დღეს საკრებულო ტაძარში პარაკლისი იქნება გადახდილი და ჩემს ხელქვეით მოხელეებს წინადადებას ვაძლევ დაესწრონო". ეპისკოპოსს ეს შეურაცხყოფად მიუღია და წირვის გათავებისას სამოსელი გაუხდია და შინ წაბრძანებულა. გუბერნატორს ტრაპეზში პოლიცმეისტერი შეუგზავნია და უთხოვნია პარაკლისის შესრულება, მაგრამ მღვდელ-მთავარს განუცხადებია: ტაძრის გამგე მე ვარ და არა გუბერნიის მმართველიო.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. 6 იანვარს ადგილობრივ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილმა ა. სუმბათაშვილის პიესამ **„ღალატმა"** კარგად ჩაიარა. ჩვეულებრივ შეუდარებელი იყო ზეინაბის როლში ქ-ნი **ნ. ჩხეიძე**. სოლეიმანის როლი საზოგადოდ მოხდენილად შესრულა **შ. შარაშიძემ**, რომელსაც ყველაფერი ხელს უწყობს სასცენო ხელოვნებისათვის, მხოლოდ აკლია ჯერჯერობით „თამამი", თავისუფალი მიხვრა-მოხვრა, გამბედაობა. ყველაფერს ამას ის ადვილად შეივსებდა და ჩვენს სცენაზე მალე საპატიო ადგილს დაიჭერდა, რომ სასცენო მოღვაწეობისათვის მოეკიდებინა ხელი. მშვენიერი იყო ანანია გლახას როლში **ქ-ნი იმედაშვილისა**. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

— 8 იანვარს მსახიობის **ი. ზარდალიშვილის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა. ა. დიუმას ცნობილი 5 მოქმედებიანი დრამა **„ედმონდ კინი"**. ბ-ნი ზარდალიშვილი თუმცა „ვარსკვლავებს არა ჰკრეფს", მაგრამ ადგილობრივ დასში საპატიო ადგილი უჭირავს და ერთ ბეჯით, შრომის მოყვარე და მასთან ნიჭიერ მსახიობათ ითვლება, მიუხედავათ ამისა, ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რომ მან თავის საბენეფისოდ ამოარჩია ისეთი ძნელი პიესა, როგორიცაა „ედმონდ კინი", და თვითონ იკისრა კინის როლი, რომელსაც ჩვენს მსახიობებში ერთად-ერთი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი ასრულებს კარგად. იქნება მკითხველმა იფიქროს, ბ-ნს ზარდალიშვილს როლი ცუდად ჩაუტარებია; არა, მან კინის როლი იმდენად კარგად ჩაატარა, რამდენსაც ჩვენ არც კი მოველოდით, მაგრამ იმის თქმა კი არ შეგვიძლიან, რომ ის კარგი კინი ყოფილიყოს. ბ-ნი ზარდალიშვილი მშვენივრად იყო მომზადებული; საუცხოვოდ იცოდა როლი; ერთ ნაბიჯსაც კი მეტს არ ადგამდა; ერთ ხელსაც უადგილოდ არ აქნევდა; თამაშობდა დაკვირვებით, შეგნებულად; ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ვ. ა.-მესხიშვილისთვის მიებაძა, მაგრამ მისი კინი ბ. მესხიშვილის კინს მაინც არ ჰგავდა: აკლდა სიცოცხლე, სული, აკლდა თავისუფალი მოქმედება, თავისებურობა, უვითომქმედება. ამიტომ ბ. ზარდალიშვილის კინი საჭირო შთაბეჭდილებას ვერ სტოვებდა მაყურებელზე. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა, თუმცა ქალები (განსაკუთრებით) მოისუსტებდნენ. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს და მრავალი ვაშას ძახილითა და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. წარმოდგენას საზოგადოება იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო.

— ხუთშაბათს, 12 იანვარს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში სტუდენტების დამხმარე საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართება **სამუსიკო-სასიმღერო და სალიტერატურო საღამო**. როგორც აფიშებიდანა სჩანს, საღამო საინტერესო უნდა იყოს. სხვათა შორის, საღამოში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ცნობილი მომღერალი ქ-ნი **თარხნიშვილისა**, რომელსაც ქუთაისის საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა.

წერილი რედ. მიმართ

„ნაძალადევი"-ს სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს **არჩილ გიორგის ძე ლოლაძეს**, რომელმაც შემოსწირა თეატრის ფარდისათვის 60 მან., რისთვისაც გამგეობამ შემომწირველი საპატიო წევრად ჩარიცხა.

მადლობას უცხადებს აგრეთვე მხატვარ ბ-ნ **ანტონ ნოვაკს**, რომელმაც დაკლებულ ფასში დაგვიხატა თეატრის ფარდა.

გამგეობა სთხოვს სცენის მოყვარეთ, რომელთაც ჰსურთ იშრომონ „ნაძალადევი"-ს სცენაზე, განცხადება შემოიტანონ გამგეობის სახელობაზე. განცხადება მიიღება „ნაძალადევი"-ს თეატრის კანტორაში საღამოს 5—7 საათამდე. განცხადება შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტითაც ამ მისამართით: „ნაძალადევი"-ს თეატრის კანტორა, (XI უბანი), ჩერქეზოვის (ავჭალის) ქუჩა.

წრის გამგეობის მდივანი **ი. ფანიაშვილი**.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (5 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—[illegible] კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—[illegible] კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 43 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 1 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—II კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. [illegible] ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № [illegible], I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
[illegible]—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

* * *

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუაღლევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადული"-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—4 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აზვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, განჯაში—ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—15 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.63)

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 იანვრიდან 1912 წ.
არსდება პარალელური განყოფილება
სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს უწყებაში მყოფ
პრაქტიკული კურსები ბუხალტერიისა და საკომერციო ანგარიშისა
ი. ფ. პალატნიკოვისა.
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 132.
კურსებზე ორთავე სქესის მსმენელთ ასწავლიან საფუძვლიანად და დამთავრებულ ცოდნას, რომ დამოუკიდებლად შეეძლოთ საკანტორო-საბუხჰალტრო და სავაჭრო მიწერ-მოწერის წარმოება. კურსებზე შემსვლელი საფუძვლიანად შეისწავლის: 1) ა) **ბუხჰალტერიას**: უბრ. ორმაგს, იტალიურს, გერმან., ამერიკ., ფრანგ. და ახალს რუს. (ყველა სისტემი, შესწავლის დროს სავალდებულო პრაქტიკულ ვარჯიშობით; ბ) **ანგარიშის წარმოებას** საალებ-მიცემო, საბანკო, საქარხნო. სამეურნეო, ქალაქთა და ერობათა სამმართველოს. 2) საკომერციო არითმეტიკას. 3) სავაჭრო უფლებათ. 4) თამასუქების საქმეს. 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას. 6) ჩოთქზე ანგარიშს. 7) კალიგრაფიას—ლამაზსა და მართლ-წერას. 8) საბეჭდ-მანქანაზე მუშაობას. 9) საარითმეტიკო მუშაობას, რათა უფრო უკეთესად შეისწავლონ კურსები, იქვე არსებობს მოსამზად. განყოფილება, რუსულისა და არითმეტიკის შესასწავლად. **მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან**, 1912 **წ.**, ✦ **ჯარის კაცთა და მოწაფეთ, თუ საამისო საბუთებს წარმოადგენენ, სასწავლო ფულს ნაწილ-ნაწილ ახდევინებენ.** პროგრ. და წესდება უფასოდ ეძლევა და ეგზავნება ყველას
(5.1005.5) კურსების დამაარსებელი **ი. ფ. პალატნიკოვი.**
P. S. კურსები მსურველთ ურჩევენ ბუხჰალტერ-კორესპონდენტებს თავის თავდებობით.

წელიწ. მეორე
1912 წ.
კოლხიდა
წელიწ. მეორე
1912 წ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი:
ერთის წლით . 7 მ.
ნახევარის წლ. . 4 მ.
ერთის თვით . 4 აბაზი.
წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი ამნაირ შეღავათიან წესით შეუძლიან გადაიხადოს: ხელის მოწერის დროს—3 მან., პირველ ენკენისთვეს—2 მან.
ცალკე ნომრის ფასი — 1 შაური, მისამართის გამოცვლისათვის—ათი შაური.
გაზეთის დასაკვეთად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგ პირთ:
ტფილისში: ტიტე ართმელაძეს და მიხაკო ლაღიძეს, **ბაქოში** პლატონ გელოვანს და ივ. ელიაშვილს, **ბათომში**—ანდრია დეკანოზიშვილს, **ოზურგეთში**—ვასილ ხუნდაძეს, **ფოთში**—კოსტ. გამყრელიძეს, **სამტრედიაში**—გიორგი სიხარულიძეს და ისიდორე სტურუას, **ხონში**—ჭიჭიკო ქუთათელაძეს და მოსე ქელიძეს, **ძვ. სენაკში**—დომენტი ოყროშიძეს, **ზესტაფონში** - აბაშიძის მეუღლეს ალექსანდრას და იოსებ გუნცაძეს, **ჭიათურაში**—ისიდორე ვარაზიშვილს და სოფრომ ტარუაშვილს **სოხუმში**—ნიკ. ჩიქოვანს, **კავკავში**—იასონ ლორთქიფანიძეს.
(3.1009.2)

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლის
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო
გ ა ზ ე თ
„ბათუმის გაზეთ"-ზე
1912 წლის პირველ იანვრიდან „ბათუმის გაზეთი" გამოვა
გადიდებულ ფორმატით
ფასი კი იგივეა, ე. ი. 1 წლით 4 მან., ნახევარ წლით 2 მან. 50 კაპ., 1 თვით 60 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.
მიუხედავად ასეთ სიაფისა 1912 წ. წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ **პრემიად ერთ მან.** ღირებული წიგნები, ამორჩევით იმ სიიდან, რასაც მახლობელ ნომერში გამოვაცხადებთ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ შემოიტანონ **თითო** მანეთობით წინ და წინ ოთხის თვის განმავლობაში. **ხელის მოწერა მიიღება: ბათუმში,** რედაქციასა და კანტორაში, ერისთავის ქუჩაზე, ვაგანიანცის სახლში. **ქუთაისში** ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან, **ოზურგეთში** მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, **სოხუმში** იოსებ კორტთან, **ფოთში** ბესარიონ ვაშაკიძესთან, **ოჩამჩირეში** ანთიმოზ ტრაპაიძესთან, **სამტრედიაში** ლავრენტი ჰუმბურიძესთან, **საჯევახოში** ვლადიმერ რამიშვილთან, **ჩოხატაურში, ხიდისთავში** და **მიხაილოვში** სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, **ნატანებში** დიმიტრი სადრაძესთან, **სუფსაში** პავლე ვადაჭკორიასთან, **ქობულეთში** (ჩურუქ-სუში) ქრისტეფორე გიორგაძესთან და **ლანჩხუთში** მელიტონ ქერქაძესთან. (3—1008—2)

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა